

გრასის დეზინფორმაციის ბრიფი - 8 მაისი - 13 მაისი

- პრემიერ-მინისტრი იცავს ბიძინა ივანიშვილსა და რუსულ კანონად მიჩნეულ კანონპროექტს „უცხოური აგენტების შესახებ“;
- პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე დასავლელი პარტნიორებისადმი „ქართული ოცნების“ კრიტიკის სათავეში არიან;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მხარს უჭერს „ქართული ოცნების“ მიერ განმტკიცებულ შეთქმულების თეორიას „გარკვეული დაჯგუფებების მიერ საქართველოში რევოლუციის დაგეგმვის“ შესახებ;
- კვლავ გრძელდება ფიზიკური თავდასხმები და ცილისწამება იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან რუსულ კანონად მიჩნეულ კანონპროექტს „უცხოური აგენტების შესახებ“; „ქართული ოცნება“ ოპოზიციას ძალადობის წახალისებაში აღანაშაულებს;
- პრორუსულად განწყობილი დაჯგუფებები ავრცელებენ სუს-ის ნარატივს, თითქოს დასავლეთი „მაიდანის“ სცენარის განხორციელებას ისახავს მიზნად.

პრემიერ-მინისტრი იცავს ბიძინა ივანიშვილსა და რუსულ კანონად მიჩნეულ კანონპროექტს „უცხოური აგენტების შესახებ“

- პრემიერ-მინისტრმა „გულწრფელ ახალგაზრდებს“ [ღია წერილით](#) მიმართა, რომელშიც ხაზი გაუსვა, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის წინააღმდეგ გამართულ აქციებზე მდგომი ახალგაზრდების დიდი ნაწილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთის წევრები არიან. მისი შეფასებით, დემონსტრაციებზე აქტიურობენ ძალადობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის, დავით კუხერაშვილისა და „უცხოელი დონორების შავი და გაუმჭვირვალე ფულით“ ფინანსდებიან. აქციების მასშტაბის დაკნინების მიუხედავად, პრემიერ-მინისტრი მაინც აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდა დემონსტრანტთა ნაწილი გულწრფელია - „გამჭვირვალობის შესახებ კანონის განხილვის დაწყების მომენტიდან, თბილისში იმართება საპროტესტო აქციები, რომლებშიც სტაბილურად 10 ათასამდე ადამიანი მონაწილეობს“, - წერდა კობახიძე. **წერილში მან მოიყვანა „გულწრფელი ახალგაზრდას“ მაგალითი, რათა დაემტკიცებინა, თუ რამდენად ცდებიან ქართველი ახალგაზრდები.** ის ირწმუნებოდა, რომ ახალი თაობა ხელისუფლების გადაგდების მცდელობაში ჩაითრიეს 2020 წელს, როდესაც ოპოზიციურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ საპარლამენტო არჩევნები გაყალბდა; გამოიყენეს 2021 წელს, რათა მმართველ პარტიაზე 19 აპრილის შეთანხმებაზე ხელმოსაწერად ზეწოლა მოეხდინათ; 2021-2022 წლებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ახალგაზრდებს ატყუებდა მიხეილ სააკაშვილის შიმშილობისა და მდგომარეობის შესახებ. „მრავალი დაშვებული შეცდომის მიუხედავად, გულწრფელმა ახალგაზრდამ საკუთარი ანალიტიკური უნარების კიდევ ერთხელ მყარად ირწმუნა, როდესაც უკრაინაში ომი დაიწყო. ომის პირველივე დღეს მან ვლადიმირ ზელენსკი ცივილიზებული სამყაროს ლიდერად და მსოფლიო გმირად გამოაცხადა. დღეს კი ხვდება ახალგაზრდა, რომ მისი ანალიტიკური დასკვნები სიმართლისგან უკიდურესად შორს იყო, თუმცა შეცდომის აღიარება ერთხელაც არ უფიქრია“, - განაცხადა კობახიძემ. მისი თქმით, ახალი თაობა მოტყუებულია უკრაინის

შესახებ და ვერ ამჩნევს საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნის მცდელობებს. ამასთანავე, ისინი მხარს უჭერდნენ რევოლუციურ პროცესებს 2022-შიც, მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა ქვეყანას კანდიდატის სტატუსი არ მიანიჭა. კობახიძის მტკიცებით, იგივე ახალგაზრდები, ადრე დაშვებული მრავალი ანალიტიკური შეცდომის მიუხედავად, კანონს ახლაც წაუკითხავად აპროტესტებენ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ახალგაზრდებს დასვენები არა საკუთარი მსჯელობით, არამედ გარკვეული ადამიანების, მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების, მიერ გაზიარებული ინფორმაციიდან გამოაქვთ. **საერთო ჯამში, კობახიძის წერილი აკნინებდა „უინტელექტო, მარტივად მართვად“ ახალგაზრდებს, რომლებიც აქტიურად ეწინააღმდეგებიან რუსული სტილის კანონპროექტს.**

- იმავე წერილში კობახიძე ირწმუნებოდა, რომ ქართული საზოგადოების 60%-ზე მეტი მხარს უჭერს გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტის დამტკიცებას. პრემიერ-მინისტრმა დაუკონკრეტებლად დაიმოწმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებიც, რომლებიც თითქოს „ქართულმა ოცნებამ“ ჩაატარა და დაადგინა, რომ მმართველ პარტიას „მაღალი ინტელექტის მქონე“ ამომრჩეველთა 73.8% უჭერს მხარს, ხოლო „საშუალო ინტელექტის“ – 45.6%. გაურკვეველი წყაროს კვლევის დახმარებით, **კობახიძე ამტკიცებდა, რომ მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანები მმართველ პარტიას უჭერენ მხარს, ხოლო „ქართული ოცნების“ ოპონენტები და დემონსტრანტები უინტელექტოები არიან**, რის გამოც არ აქვთ საკმარისი უნარი, შესაბამისად გააანალიზონ არსებული ვითარება გამჭვირვალობასთან მიმართებით. „ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ არა ჩემი ნაცნობი გულწრფელი ახალგაზრდის მოთხოვნებით მიხედვით, არამედ 29 აპრილს „ქართული ოცნების“ აქციაზე მოსული 200 ათასი ახალგაზრდა, საშუალო ასაკისა და ასაკოვანი ადამიანის კარნახით“, - ვკითხულობთ კობახიძის წერილში.
- გასულ კვირას კობახიძე პოლიტიკური ტოქშოუების წამყვანებს, მათ შორის ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ ადამიანებს, შეხვდა. შეხვედრის პირდაპირი ეთერი რამდენიმე მედიასაშუალებაზე იყო ხელმისაწვდომი. პრემიერ-მინისტრი **ამტკიცებდა**, რომ მმართველი პარტიის წარმომადგენლები ღირსებით, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ, რის გამოც „არ ჭრის არც ხელისუფლებაზე და არც ქართველ ხალხზე ეს უსაფუძვლო შანტაჟი და მუქარა“. მან განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტიკა ევროკავშირთან მიმართებით 2023 წლის დეკემბერში შედეგიანი იყო, შესაბამისად, მომავალშიც წარმატებული იქნება. „ისინი **კანდიდატ ქვეყნებს შორის იქნება, ყველაზე მზად ევროკავშირში გაწევრიანებისთვის**“.
- კობახიძე კვლავ განაგრძობდა **მტკიცებას**, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები უცხოურ ფინანსებს რევოლუციური პროცესების განსახორციელებლად იყენებენ. მისი შეფასებით, თუ საზოგადოებას ექნება ინფორმაცია გარკვეული ორგანიზაციების საქმიანობის - მათ შორის, **რევოლუციური პროცესების, ქვეყანაში არეულობის შემოტანის, ლგბტ პროპაგანდის, მართლმადიდებელ ეკლესიაზე თავდასხმის, ნარკოტიკების პროპაგანდისა და სტრატეგიული ეკონომიკური პროექტების დაბლოკვის** შესახებ - საქართველო უფრო დაზღვეული იქნება.
- კობახიძემ, აგრეთვე, განაცხადა, რომ კონკრეტული არგუმენტები გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტის წინააღმდეგ განწყობილ ადამიანებს, მათ შორის საქართველოს

დასავლელ პარტნიორებს, დღემდე არ წარუდგენიათ; ისინი მხოლოდ ზოგადად საუბრობენ, თუ როგორ შეეშლება საქართველოს ხელი ევროინტეგრაციის გზაზე, რაც, კობახიძის შეფასებით, არასაკმარისი არგუმენტია. ის ირწმუნებოდა, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-სპიკერის განცხადება, რომლის თანახმადაც, FARA მხოლოდ უცხო ქვეყნების მთავრობების სახელით მოქმედ ადამიანებს არეგისტრირებს, სიცრუეა, რადგან FARA მიხეილ სააკაშვილის დედასა და ტელეკომპანია ფორმულასაც შეეხო. **კობახიძის აღნიშნული მტკიცება მცდარია** - სააკაშვილის დედა და ტელეკომპანია ფორმულა სქემაში არ არიან დარეგისტრირებულნი. თუმცა სქემაში დარეგისტრირებულია კომპანიის GP International LLC / DBA GlobalPoint International კონკრეტული აქტივობები, რომლებიც მათ უცხო ძალის, ამ შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილისა და ტელეკომპანია ფორმულას დაკვეთით განახორციელებს. ამერიკული კანონმდებლობით, სქემაში რეგისტრირდებიან აშშ-ში მოქმედი ის პირები, რომელთაც უცხო ძალის დაკვეთითა და დავალებით/კონტროლით განახორციელებს კონკრეტული ა

- კობახიძის **განცხადებით**, საქართველოს პარტნიორებსა და დონორ ორგანიზაციებს ჭირთ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ კანონპროექტი გაიწვიოს, ვინაიდან „**არავის ხიამოვნებს გამჭვირვალობა, არავის უნდა, რომ მისი ფული დაინარჯოს გამჭვირვალედ**“, რაც მმართველი პარტიისთვის გასაგები, თუმცა მიუღებელია.
- ფროკავშირისა და აშშ-ს მიერ „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ოლიგარქ ბიძინა ჭვანიშვილის სავარაუდო დასაქციერებასთან დაკავშირებით საუბრისას, **კობახიძემ ჭანაცხადა, რომ ივანიშვილი „ფაქტობრივად უკვე დასაქციერებულია“**. პრემიერ-მინისტრი გულისხმობდა სასამართლო **დავას** ბიძინა ივანიშვილსა და შვეიცარიული ბანკის, Credit Suisse-ის შორის, რომელიც მილიარდების აქტივებს მართავდა. პრობლემა ჭაჩნდა მას შემდეგ, რაც ბანკის წარმომადგენელმა პატრიკ ლესკადრონმა ლონდონის საფონდო ბირჟაზე ივანიშვილის კუთვნილი ფინანსები დაკარგა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს საკითხთან კავშირი არ აქვს, ივანიშვილი და მისი პარტია განაგრძობენ მტკიცებას, რომელიც ზემოაღნიშნული დავა დასავლეთის დე-ფაქტო სანქციაა. კობახიძის თქმით, ივანიშვილი და მმართველი პარტია უკვე მიეჩვია შანტაჟს როგორც რუსეთისგან, ისე - კონკრეტული დასავლელი პოლიტიკოსებისგან. აქედან გამომდინარე, ეს მათ ხელს არ ჭეუბლის, დაიცვან საქართველოს ეროვნული ინტერესები.

ა
ს

პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე დასავლელი პარტნიორებისადმი „ქართული ოცნების“ კრიტიკის სათავეში არიან

- პრემიერ-მინისტრმა კობახიძემ, ტრადიციულად, კვლავ გაურკვეველ „გლობალური ომის პარტიაზე“ **ისაუბრა**. ამ შემთხვევაში მან განმარტა, რომ ეს პარტია არ მოიცავს ყველა ამერიკულ და ევროპულ ოფიციალურ სტრუქტურას, თუმცა გადამწყვეტი გავლენა აქვს მათზე. კობახიძე ირწმუნებოდა, რომ „გლობალური ომის პარტია“ ევროკავშირზე გავლენას მარტივად ინარჩუნებს, რადგან ერთ-ერთი ქვეყნის მართვაც კი საკმარისია ფროკავშირის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოსახდენად. ამასთან, კობახიძე ემედოვნებს, რომ აშშ და ევროკავშირი, „გლობალური ომის პარტიის“ მსხვერპლნი, შეძლებენ ამ გაურკვეველი დაჯგუფების გავლენისგან თავის დაღწევას.

ო
მ
პ
ა
ნ
ი
ა

- კობახიძემ, ასევე, [განაცხადა](#), რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გარე ძალებმა ხელისუფლებაში ძალადობითა და ქვების სროლით მოიყვანეს. მისი შეფასებით, **სახელმწიფო „კოლექტიურ ნაცმოძრაობას“ და მის უცხოელ პატრონებს არ მისცემს საშუალებას, მშვიდობიანი პროტესტის ქართული კულტურა ძალადობრივი პროტესტის არაქართული უკულტურობით ჩაანაცვლოს.** „საქართველოში მისი დამკვიდრებაც სწორედ იმ შავ ფულს უკავშირდება, რომლის დამალვისთვისაც დღეს ასეთი გამალებით იბრძვიან რადიკალური ოპოზიცია და მისი უცხოელი მეგობრები“, - განაცხადა კობახიძემ.
- ევროკავშირის მიერ ვიზალიბერალიზაციის შეჩერებასთან დაკავშირებით გაჩენილ ვარაუდებზე საუბრისას, კობახიძემ [განაცხადა](#), რომ შესაძლოა, მმართველი პარტია დააშინტაჟონ პერსონალური სანქციებით, რაც აბსურდული და არასერიოზულია; თუმცა **უფრო აბსურდულია სპეკულაციები და ქართველი ხალხის დაშინება, თითქოს ვიზალიბერალიზაცია შეჩერდება.**
- დემონსტრანტების [გეგმასთან](#) დაკავშირებით, 13 მაისს ღამე პარლამენტთან გაეთენებინათ და „ქართული ოცნების“ დეპუტატებისთვის პარლამენტში შესვლის საშუალება არ მიეცათ, 12 მაისს [ირაკლი კობახიძემ](#) და შინაგან საქმეთა მინისტრმა [ვანტანგ გომელაურმა](#) განაცხადეს, რომ ძალადობის ნებისმიერი მცდელობისა და პარლამენტის პიკეტირებისთვის ყველა პასუხს აგებს კანონის წინაშე. **კობახიძემ, აგრეთვე, სარკასტულად მოუწოდა პოლიციას, „იმოქმედონ ამერიკულზე და ევროპულზე მაღალი სტანდარტებით“.** აქციის მონაწილეებმა საბოლოოდ არ გადაკეტეს პარლამენტის შენობა, თუმცა ნიღბიანმა პოლიციელებმა ისინი მაინც ძალდატანებით გაიყვანეს შენობის უკანა მხრიდან, ხოლო მათი ნაწილი [ძალადობრივად დააკავეს](#).
- პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა [გამოხატა](#) იმედგაცრუება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკოსი საკუთარ თავს იუპიტერს უწოდებს, ხოლო საქართველოს - ხარს, ანუ რაც იუპიტერისთვის დასაშვებია, არ არის დასაშვები პატარა ერისთვის. **პაპუაშვილმა კვლავდაკვლავ გაუსვა ხაზი, რომ ევროკავშირი მსგავს დირექტივაზე მუშაობს და კანადა მსგავსი კანონპროექტის მიღების პროცესშია. მისი განცხადება მანიპულაციურია.** „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის ქართული ვერსია რადიკალურად განსხვავდება დასავლური დემოკრატიების მიერ მიღებული კანონმდებლობისგან (მეტი
- ნდამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პოლიციის მიერ 2019 წლის 19 ივნისის **ფაშის** დემონსტრაციების ძალადობრივ დარბევასთან დაკავშირებით დასჯენა გამოაქვეყნა. პაპუაშვილმა ზემოაღნიშნული დასჯენა დასავლეთისა და ევროპული დონორი ორგანიზაციების გასაკრიტიკებლად გამოიყენა. მისი [შეფასებით](#), ნიკა მელია 19 ივნისს ძალადობის ორგანიზების ნიადაგზე სამართლიანად დააკავეს, თუმცა საქართველოს დასავლელმა პარტნიორებმა მმართველ პარტიას 19 აპრილის **ჭეთანხმებით** აიძულეს, ოპოზიციონერი პოლიტიკოსი გაეთავისუფლებინა. პაპუაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მელიას თავდების თანხა „ევროპის დემოკრატიის ფონდმა“ რომლებიც ყველაზე რადიკალური საქმიანობით გამოირჩევიან. „გასულ კვირას კიდევ **ხრთხელ** დაესხნენ თავს საქართველოს პარლამენტს. სამწუხაროდ, 2019 წლის შეცდომა **ფლავ** განმეორდა, **ზოგიერთმა უცხოელმა აქტორმა წინდაუხედავად ძალადობრივი**

აქციები კვლავ „მშვიდობიანად“ მონათლა, პოლიციის ლეგიტიმური ქმედება, ძალის მინიმალური გამოყენებით კი - დაგმო“, - ამტკიცებდა პაპუაშვილი.

- პაპუაშვილმა „ევროპის დემოკრატიის ფონდი“ (EED) და „დემოკრატიის ეროვნული ფონდი“ (NED) [დაადანაშაულა](#) გარკვეული დაჯგუფებების დაფინანსებაში, რომლებიც, მისი შეფასებით, დემონსტრაციებზე მომხდარი ძალადობრივი ქმედებების, მაგალითად პარლამენტის პიკეტირების, ორგანიზატორები არიან. რუსულ კანონად მიჩნეული კანონპროექტის „უცხოური აგენტების შესახებ“ მოწინააღმდეგეებზე საუბრისას, პაპუაშვილმა განაცხადა, რომ **ნაკლებია ნდობა იმ უცხოელი აქტორების მოსაზრებების მიმართ, რომლებიც ხელისუფლებას რუსეთისთვის სანქციების დაწესებისკენ მოუწოდებდნენ და ამით სამხედრო დაპირისპირებისკენ უბიძგებდნენ, მოუწოდებდნენ მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებისკენ.** ხოლო სხვა კოლეგებზე საუბრისას, პაპუაშვილმა გაიმეორა, რომ მმართველი პარტია მათთან სასაუბროდ მზადაა, თუმცა მათ „შინაარსობრივი არგუმენტები“ ისევ არ გაუქლერებიათ.
- ღირებულებებთან დაკავშირებით საქართველოში ევროკავშირის ოფიციალური წარმომადგენლებისა და საელჩოების მიერ გაკეთებულ განცხადებებზე კომენტარის გაკეთებისას, პაპუაშვილმა [განაცხადა](#), რომ ევროკავშირის ღირებულებებთან შეუთავსებელი ერთადერთი ფაქტი „ევროპის დემოკრატიის ფონდის“ (EED) მიერ საქართველოში ფულის ფარული ხარჯვაა. **სხვადასხვა ევროპულ სტრუქტურას შეუძლია გაასაჯაროს ფინანსები, თუმცა მაინც განაგრძობენ საქართველოში დაპირისპირების გაღვივებასა და კანონპროექტის ანტიევროპულად შერაცხვას.**
- გაერთიანებული სამეფოს საელჩომ გამოაქვეყნა [განცხადება](#), რომელშიც საქართველოს მთავრობას მოუწოდებდა, „დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები, რათა აღიკვეთოს პროტესტის მხარეს მდგომი ადამიანების მიმართ უკანონო დაშინება და გამოძიებულ იქნას ყველანაირი უფლებადარღვევა“. განცხადებაზე საპასუხოდ, **პაპუაშვილმა საელჩოები ქართული სასამართლოს ფუნქციების ხელყოფაში, ანუ პოლიციისთვის კანონიერ და უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით მითითებების გაცემაში, დაადანაშაულა.**
- საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა მოძრაობა „ხალხის ძალამ“ [განცხადება](#) გამოაქვეყნა. „საქართველოში ჩამოდის ევროკავშირის წევრი 4 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი: გაბრელიუს ლანდსბერგისი (ლიეტუვა), მარგუს ცანკა (ესტონეთი), ტორდის გილფადოტრი (ისლანდია) და ბაიბა ბრაზე (ლატვია). ასევე გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მაიკლ როთი, ლიეტუვის სეიმის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ჟიგიმანტას პავილიონისი და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ჯეიმს ო'ბრაიენი“. **მოძრაობამ საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, გადახედონ, იმსახურებენ თუ არა ზემოთ ჩამოთვლილი პოლიტიკოსები ქვეყანაში შემოშვებას.** მოძრაობის მტკიცებით, ამ პოლიტიკოსებმა განაცხადეს, რომ მათი ვიზიტის მიზანი ქვეყნის „დასავლური კურსის“ მხარდაჭერაა, თუმცა, რეალურად, ისინი ღიად უჭერენ მხარს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, ხოლო საქართველოს მთავრობას ეწინააღმდეგებიან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ხალხის ძალა“ ამბობს, რომ **საქართველოს ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს „დესტრუქციისთვის ჩამოსულ პოლიტიკოსებთან“ შეხვედრისგან.** ამასთან, მოძრაობა ირწმუნებოდა, რომ გასული ორი წლის განმავლობაში ამ პოლიტიკოსების მიერ გაქლერებული განცხადებების მთავარი

მიზანი საქართველოს ომში ჩართვა და ქვეყანაში რუსეთის წინააღმდეგ „მეორე ფრონტის“ გახსნა.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მხარს უჭერს „ქართული ოცნების“ მიერ განმტკიცებულ შეთქმულების თეორიას „გარკვეული დაჯგუფებების მიერ საქართველოში რევოლუციის დაგეგმვის“ შესახებ

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გაავრცელა [განცხადება](#), რომლის თანახმადაც გარკვეული ჯგუფები ცდილობენ პარლამენტთან აქციების დროს მოაწყონ პროვოკაციები, რაც ძალადობრივი სცენარების განვითარებას ისახავს მიზნად და, თითქოს, უცხო ქვეყნებიდან მომდინარე დაფინანსებით ხორციელდება. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამ დაფინანსებას კონკრეტული საპარლამენტო და არასაპარლამენტო პარტიების ლიდერები და არასამთავრობო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მართავენ. დანაშაულებრივ გეგმებში აქტიურად არიან ჩართულნი ქვეყნის გარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეებიც, **კერძოდ უკრაინაში მებრძოლი ქართველების გარკვეული ნაწილი**, რომლებიც აცხადებენ მზადყოფნას, ჩამოვიდნენ საქართველოში და შეუერთდნენ პოლიციის წინააღმდეგ დაგეგმილ ძალადობას. სუს-ის თანახმად, ზემოაღნიშნული პირები აქტიურად განიხილავენ პარლამენტის, მთავრობის ადმინისტრაციისა და სხვა სამთავრობო

სუს-ი, აგრეთვე, წერს, რომ დანაშაულებრივი ქმედებების ორგანიზატორები ახალგაზრდებს ავალდებენ, პარლამენტის წინ მიიტანონ ადვილად აალებადი ნივთიერებები, რომლებიც შემდგომ „მოლოტოვის კოქტეილების“ დასამზადებლად იქნება გამოყენებული. უცხოური ძალების მიერ გაცემული დავალებებისა და **“Canvas-ის”, პიტერ აკერმანის მიერ ჩატარებული ძალადობრივი სწავლების მეთოდების** მიზანი ქვეყანაში 90-იანი წლების გამოქალაქო დაპირისპირების მსგავსი მოვლენების პროვოცირებაა.

ხრგანიზატორთა აგრესიის განსაკუთრებული სამიზნე სამართალდამცავი ორგანოს ტანამშრომლები არიან. მათი დემორალიზაციისა და პროვოცირების მიზნით **დაგეგმილია ფერადი რევოლუციების“ მოწყობასთან დაკავშირებული მეთოდები**, როგორებიცაა შექარა, მოსყიდვა, საპროტესტო აქციის მონაწილეთა მხარეს მათი გადასვლის ინსცენირება, ზღაპრული საბოლოო ჯამის მიზნად ისახავს ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობას.

ირაკლი კობახიძის [განცხადებით](#), **„ქართულმა ოცნებამ“ ქვეყანა რევოლუციისგან უკვე ბევრჯერ დაიცვა და კიდევ ერთხელ დაიცავს წარმატებით.** „კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას“ რევოლუციის რუსურსი აღარ აქვს; იანუკოვიჩის უკრაინისგან და შევარდნაძის საქართველოსგან განსხვავებით, საქართველო „ქართული ოცნების“ მმართველობის ქვეშ ძლიერი, სუვერენული ქვეყანაა და „მაიდანის“ მსგავსი რევოლუცია არ მოხდება.

კობახიძემ, აგრეთვე, [განაცხადა](#), რომ შეუძლებელია, ქვეყანა მუდმივად ცხოვრობდეს პოლარიზაციის ჩაკეტილ წრეში, რომელიც საქართველოსთვის ხელოვნურად არის გარედან თავს მოხვეული, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებისა და გარკვეული მედიასაშუალებების გაუმჭირვალე დაფინანსების მეშვეობით. კობახიძის მტკიცებით, უცხო ძალების მიერ ხელოვნურად თავს მოხვეული პოლარიზაციისა და რადიკალიზმის დაძლევა საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებლობაა ქართველი ხალხის წინაშე.

ლ
ი
ზ
ქ
ბ

- შალვა პაპუაშვილმა კვლავ [გაიხსენა](#) USAID-ის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული „კანვასის“ ტრენინგი, რომლის მიმართაც სუს-ი კვლავ ატარებს საგამოძიო მოქმედებებს, და განაცხადა, რომ როდესაც „კანვასი“ ახალგაზრდებსა და გავლენიან არასამთავრობო ორგანიზაციებს ტრენინგს უტარებდა, ორგანიზაციის მოლოდინები ხელისუფლების გადაგდების ძალადობრივ მცდელობაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება იყო წინ, როდესაც „კანვასის“ ტრენინგების მიმართ დაიწყო გამოძიება, ვნახეთ, როგორი იყო სცენარები და რას ასწავლიდნენ. ვხედავთ ამ სცენარების ასრულებას“, - განაცხადა პაპუაშვილმა. **მისი შეფასებით, საქართველოში მიმდინარე პროტესტი „მაიდანის რევოლუციას“ ჰგავს** - ახალდაქორწინებული წყვილი აქციაზე, ადამიანი, რომელიც ფორტეპიანოზე უკრავს და სხვა, ის ვიზუალებია, რომლებიც ძალადობრივი აქციების შესაფუთად გამოიყენება, რაც, პაპუაშვილის შეფასებით, „მაიდანის“ მსგავსი პროექტის განხორციელებას ადასტურებს.
- ამასთან, პაპუაშვილი [ამტკიცებდა](#), რომ ოპოზიციას არ დაუწყია პროტესტი. ოპოზიცია კანონპროექტს თავდაპირველადვე ეწინააღმდეგებოდა, თუმცა მასობრივი დემონსტრაციები შესაბამისი ინსტრუქციების გარეშე არ დაუწყია. **„მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიიღეს სიგნალი გარედან, საკუთარი მფარველებისა და დამფინანსებლების მხრიდან, წამოიწყეს ეს პროტესტი“**, რომლის მიზანიც, სუს-ის განცხადების დამოწმებით, ძალადობრივი სცენარის განვითარება და „მაიდანის“ მსგავსი პროექტის განხორციელებაა.

კვლავ გრძელდება ფიზიკური თავდასხმები და ცილისწამება იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან რუსულ კანონად მიჩნეულ კანონპროექტს „უცხოური აგენტების შესახებ“; „ქართული ოცნება“ ოპოზიციას ძალადობის წახალისებაში ადანაშაულებს

მაისის ღამეს, გაურკვეველი იდენტობის ადამიანები ფიზიკურად დაესხნენ თავს ოპოზიციონერ პოლიტიკოსებსა და აქტივისტებს მათ სახლებთან. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თავს დაესხნენ [დიმიტრი ჩიქოვანს](#), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრს, ყოფილ დიპლომატ [გია ჯაფარიძეს](#) და რუსულ კანონად მიჩნეული კანონპროექტის „უცხოური აგენტების შესახებ“ წინააღმდეგ მიმდინარე დემონსტრაციების ერთ-ერთ ორგანიზატორს, [ლამა ღვინიაიძეს](#).

მაისს, პარტიის „გირჩი - მეტი თავისუფლება“ წევრს, [ბორის ყურუას](#) ფიზიკურად გაუსწორდა რამდენიმე პირი. თავს დაესხნენ პარტია „ახალის“ წევრ, [ნოდარ ჩაჩანიძესაც](#). პარტიის „გირჩი - მეტი თავისუფლება“ ლიდერმა ზურაბ გირჩი ჯაფარიძემ [თავდასხმის](#) რამდენიმე მცდელობაზე ისაუბრა; ის წერდა, რომ ჩასაფრებულ ადამიანთა დასამუქრებლად რამდენჯერმე ჰაერში [გავსროლა](#). მარნეულში მცხოვრები ოპოზიციონერი დეპუტატის, გიორგი მუმლაძის თქმით, მას თავს [ორჯერ დაესხნენ](#).

ზემოთ ჩამოთვლილი ინციდენტების პარალელურად, ნიღბიანი პირები გრაფიტითა და პოსტერების მეშვეობით შეურაცხმყოფელ წარწერებს ტოვებდნენ აქტივისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა [ოფისებთან](#), [სახლებთან](#) და [პირად](#)

ავტომობილებზე. წარწერები შემდეგნაირად გამოიყურებოდა: „სამშობლოს მოღალატე“, „გრანტიჭამია აგენტი“ და ა.შ.

დღემდე არ დაუკავებიათ არცერთი ზემოაღნიშნული დამნაშავე.

- პრემიერ-მინისტრმა გაიხსენა ინციდენტი, როდესაც პარტია „მოქალაქეების“ ლიდერმა ალექსანდრე ელისაშვილმა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ მამუკა მდინარაძეს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომის დროს დაარტყა. მან ისაუბრა იმ შემთხვევებზეც, როდესაც პროსახელისუფლებო სატელევიზიო მაუწყებლების ჟურნალისტებს აქციებზე თავს დაესხნენ [მიუხედავად იმისა, რომ დემონსტრანტები ღიად გამოძინენ სახელისუფლებო არხებს, ისინი მათ თავს არც ერთხელ დასხმიან]. **კობახიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ელჩებმა არ გამოხატეს შეშფოთება ზემოაღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, თუმცა მალევე გამოეხმაურნენ „ძალადობას მოძალადეების მიმართ“.**



თავდასხმა ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტზე (მარცხენა მხარეს) ძალადობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ დიმიტრი ჩიქოვანზე (მარჯვენა მხარეს)

- პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა ოპოზიცია ალექსანდრე ელისაშვილის ძალადობრივი ქმედების წახალისებაში დაადანაშაულა, რაც, მისი შეფასებით, **ძალადობის სპირალს იწვევს, რომელშიც საზოგადოება „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შეჰყავს.**
- ძალადობის დაგმობისა და რუსულ კანონად მიჩნეული კანონპროექტის მოწინააღმდეგეთა მიმართ ჩადენილი ზემოთ ჩამოთვლილი ძალადობრივი თავდასხმების გამოძიების დაპირების პარალელურად, შინაგან საქმეთა მინისტრმა **ვახტანგ გომელაურმა ოპონენტები ორმაგი სტანდარტების ქონაში დაადანაშაულა**, რადგან მათ არ დაგმეს ძალადობა ტელეკომპანია „იმედისა“ და „POSTV“ ჟურნალისტების წინააღმდეგ.
- იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ განაცხადა, რომ ადამიანებმა დასკვნები „ხელაღებით“ არ უნდა გამოიტანონ და მმართველი პარტიის მხარდამჭერები ძალადობაში დაადანაშაულონ. **„თუ კი ვინმეს შეიძლება, რომ აწყობდეს მსგავსი ტიპის არეულობა, ეს, რა თქმა უნდა, ის ადამიანები არიან, ვინც ამ მიტინგების წინ დგანან“**, - აღნიშნა ბრეგაძემ და დაასკვნა, რომ შესაძლოა, ძალადობის მსხვერპლმა ადამიანებმა თავი მიზანმიმართულად დაიზარალოს.

- ძალადობის დაგმობასთან ერთად, თბილისის მერმა კახა კალაძემ აგრეთვე [გაიხსენა](#) ინციდენტები, როდესაც ალექსანდრე ელისაშვილი მამუკა მდინარაძეს დაესხა თავს, ხოლო ტელეკომპანია „იმედისა“ და „POSTV-ის“ ჟურნალისტები დემონსტრანტებმა შეავიწროვეს. მისი შეფასებით, ვინაიდან სალომე ზურაბიშვილმა შეიწყალა ადამიანი, რომელმაც პოლიციელის ცოცხლად დაწვა სცადა [პროკურატურამ არ წარადგინა შესაბამისი მტკიცებულება ზემოაღნიშნული მტკიცების დასადასტურებლად], თუმცა ოპოზიციამ ის გმირად გამოიყვანა, სწორედ ასეთი შემთხვევები იწვევს ძალადობას.
- პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, გია ვოლსკის [მტკიცებით](#), ვინაიდან თავდასხმები „ქართული ოცნების“ იმიჯს აზიანებს, ალოგიკურია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების უკან მმართველი პარტია იყოს. ამასთან, ვოლსკის შეფასებით, **თუ ვინმეს შეუძლია მსგავსი ძალადობის განხორციელება, ეს რადიკალური ოპოზიციანია.**

პრორუსულად განწყობილი დაჯგუფებები ავრცელებენ სუს-ის ნარატივს, თითქოს დასავლეთი „მაიდანის“ სცენარის განხორციელებას ისახავს მიზნად

- „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთი გადაცემის წამყვანი [ირწმუნებოდა](#), რომ თბილისში კანონპროექტის წინააღმდეგ ორგანიზებული გამოსვლები უკვე ადასტურებს „მაიდანის“ მსგავსი სცენარის წამოწყებას, რასაც დასავლელი პოლიტიკოსების განცხადებები კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის. პროპაგანდისტის შეფასებით, ეს პოლიტიკოსები პირდაპირ არიან ჩართულნი თბილისში მიმდინარე დემონსტრაციების დაგეგმვაში. პროპაგანდისტის მტკიცებით, თბილისის აქციებს იგივე ადამიანები მართავენ, რომლებმაც უკრაინაში „მაიდანის“ რევოლუცია მოაწყვეს.
- იმავე პროპაგანდისტმა [გაავრცელა](#) სიცრუე ევროკავშირის ცხრა დათქმის შესახებაც, თითქოს ერთ-ერთი დათქმა რუსეთის წინააღმდეგ „მეორე ფრონტის“ გახსნას გულისხმობს. „ალტ-ინფოს“ მორიგმა წევრმა განამტკიცა ნარატივი, რომლის თანახმადაც პროტესტის მიზანი ქვეყანაში არეულობის გაღვივება, ხელისუფლების გადაგდება და „მეორე ფრონტის“ გახსნაა.
- „ალტ-ინფოს“ წევრმა „მაიდანის“ რევოლუციასა და თბილისში მიმდინარე დემონსტრაციებს შორის პარალელების გავლება [სცადა](#). პარლამენტის თავმჯდომარის რიტორიკის მსგავსად, პროპაგანდისტი ირწმუნებოდა, რომ გარკვეული სცენები, როგორცაა ახალდაქორწინებული წყვილის დემონსტრაციაზე მისვლა, აკრძალვის გეგმების ნაწილია, ძალადობრივი პროტესტი შენიღბოს და მას მშვიდობიანი უწოდოს.
- „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთი მთავარი პროპაგანდისტი, ალექსანდრე ფალავანდიშვილი ამბობდა, რომ დემონსტრაციები სრულყოფილად მიჰყვება „ფერადი რევოლუციის“ ტრადიციულ სცენარს. პროპაგანდისტიმ ახალგაზრდებიც [გააკრიტიკა](#), რადგან მათ არ ახსოვთ და ვერ იაზრებენ, თუ რა მოხდა უკრაინაში იანუკოვიჩის გადაგდების შემდეგ 2014 წელს. ფალავანდიშვილის შეფასებით, ახალ თაობას ზემოაღნიშნული რომ ესმოდეს, დემონსტრაციებს არ შეუერთდებოდნენ.
- „ალტ-ინფოს“ ეთერის სტუმარი, პრემიერ-მინისტრის მსგავსად, [ირწმუნებოდა](#), რომ ახალგაზრდები უინტელექტუები არიან და, შესაბამისად, ვერ იაზრებენ ამჟამინდელ ვითარებას. მან ზემოაღნიშნული მტკიცება განათლების ევროპულ სტანდარტებს მიაწერა და ხაზი გაუსვა, რომ ახალი თაობა მოტყუებულია - ისინი ვერ იაზრებენ ვერც

ქართულ და ვერც - ევროპულ სტანდარტებს.

- „ალტი-ინფოს“ გადაცემაში სტუმარმა **ახალგაზრდა დემონსტრანტები ნარკოტიკების მოხმარებასა** და ზემოქმედების ქვეშ პოლიციელებზე თავდასხმაში [დაადანაშაულა](#).
- „მაიდანის“ რევოლუციასთან პარალელები ცნობილმა პრორუსულად განწყობილმა პროპაგანდისტმა და ბლოგერმა ბექა ვარდოსანიძემაც გაავლო. მისი [მტკიცებით](#), აშშ-ს ადმინისტრაციამ და ვიქტორია ნულანდმა ახალგაზრდა უკრაინელები პროტესტის წინა ხაზებზე დგომასა და საზოგადოების დამოკიდებულებებზე გავლენის მოხდენაში მიზანმიმართულად დაატრენინგა. ასევე, პროპაგანდისტი კონსპირირებდა, რომ იანუკოვიჩმა და ოპოზიციამ ვადამდელი არჩევნების დანიშვნა გადაწყვიტეს, თუმცა აშშ-ს მიერ ვითარებაში ჩარევისა და დემონსტრანტებისთვის ცეცხლის გახსნის შემდგომ, „მაიდანის“ რევოლუცია მოხდა და იანუკოვიჩმა ქვეყანა დატოვა.
- ტელეკომპანია „სეზონის“ პრორუსულად განწყობილი წამყვანის, ნიკოლოზ მჟავანაძის [თქმით](#), ახალგაზრდებს, რომლებიც თბილისის ქუჩებში ევროპულ მომავალს მოითხოვენ, რეალურად **საქართველოში სოდომიის დამკვიდრება სურთ**. მან **ახალგაზრდა დემონსტრანტებს მოღალატეები, საქართველოს მტრები და გარყვნილები უწოდა**. მისი შეფასებით, დღესდღეობით ევროპას ღირებულებები არ გააჩნია და მხოლოდ **რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს ომში ჩათრევითაა** დაინტერესებული.
- ამასთანავე, მჟავანაძე [შემფთვებული](#) იყო იმ ფაქტით, რომ დემონსტრანტები ერთმანეთს საკვებსა და სასმელს უზიარებდნენ. მისი თქმით, „მაიდანის“ აქციებსა და თბილისში მიმდინარე პროტესტის დროს ადამიანებს საკვებს ვიქტორია ნულანდიც უზიარებდა „უცხოური შავი ფულის“ მეშვეობით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს გამჭვირვალობის საჭიროებას.
- ტელეკომპანია „სეზონის“ ეთერში სტუმარი [ამბობდა](#), რომ მმართველი პარტიის მიერ კანონპროექტის ინიცირების მომენტიდან, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის შეიარაღებული დაპირისპირება შესუსტდა. ნარატივის თანახმად, დასავლეთი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაძაბულობის გაღვივებას საქართველოს მეშვეობით აპირებდა, თ
- უნო ხიდირბეგიშვილმა, პრორუსული „საქინფორმის“ მთავარმა რედაქტორმა, წამოაქვეყნა სტატია, რომელშიც [საუბრობდა](#), რომ „ქართული ოცნება“ დასავლეთთან ღრეერთხელ წავიდა დათმობაზე. თუმცა ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი, ვინაიდან დასავლეთი საქართველოს მოუწოდებს დაამტკიცოს ერთსქესიანთა ქორწინება, მიიღოს ჭასამართლოს ვეტინგის სისტემა, გახსნას „მეორე ფრონტი“ რუსეთის წინააღმდეგ და დაუწესოს ეკონომიკური სანქციები, ჩაკეტოს რუსეთთან საზღვარი და შეუწყვიტოს წირდაპირი ავიამიმოსვლა. პროკრემლისტური პროპაგანდისტის შეფასებით, იქიდან გამომდინარე, რომ მმართველმა პარტიამ ზემოაღნიშნული მოთხოვნები არ შეასრულა, წამინგტონმა და ბრიუსელმა საქართველოს ხელისუფლების შეცვლა გადაწყვიტეს.
- ჰამლეტ ჭიპაშვილი, პრორუსულად განწყობილი პროპაგანდისტი, რომელიც საკუთარ [სტატიებში](#) კრემლის ნარატივებს იმეორებს, [წერდა](#), რომ დასავლეთთან 30-წლიანმა ურთიერთობამ საქართველო მონად აქცია და წაართვა ღირებულებები, პატრიოტიზმი, ქამშობლოს სიყვარული და სქესობრივი იდენტობა. მისი შეფასებით, ვინაიდან დასავლელ პოლიტიკოსებს საკუთარი ფინანსების, გეგმებისა და აგენტების ქართველი ტალხისგან დამალვა სურთ, სწორედ ამიტომ ეწინააღმდეგებიან ინიცირებულ წინააღმდეგობას.

ა
მ
ა
თ
ი
ბ
ე